ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა- კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი- კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი- კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ი. შ.-ფ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.02.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №019/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ პ. ა.-ის მიმართ /სიითი №.... /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ პ. ა.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 26 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ი. შ.-ფ.-მა და მოითხოვა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატ პ. ა.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მცხეთის რაიონულ სასამართლოში აქვს უძრავ ქონებასთან დაკავშირებით დავა მოპასუხის ნ. კ.-ის მიმართ, რომლის ადვოკატიც არის პ. ა.. საჩივრის ავტორი

მიიჩნევს, რომ ადვოკატი პ. ა. ნ. კ.-ის დაცვას ახორციელებს არაკეთილსინდისიერი და უკანონო ქმედებებით.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ პ. ა.-ის ვინაობა მისთვის პირველად ცნობილი გახდა მცხეთის რაიონული სასამართლოდან მოპასუხის შესაგებლის მიღების შემდეგ, სადაც მითითებული იყო მოპასუხის ადვოკატის ვინაობა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2018 წლის იანვარში განცხადების ჩასაბარებლად იმყოფებოდა მცხეთის რაიონის პროკურატურაში, სადაც ასევე იმყოფებოდა ადვოკატი პ. ა. ნ. კ.-ის ახლობლებთან ერთად. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან შემთხვევით გაიგო პ. ა.-ის საუბარი მის თანხლებ პირებთან, რომ პ. ა. იცნობდა რაიონის პროკურორს, რომელსაც დაელაპარაკებოდა გამოძიების დაწყების თაობაზე ი. შ.-ფ.-ის მიმართ. გარდა ამისა იგი მოლაპარაკებული იყო პოლიციის უფროსთან ამ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც თავის მხრივ დაპირდა, რომ დაელაპარაკებოდა პროკურორს გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით. საჩივრის ავტორის განმატებით, ამ მოქმედებიდან გამომდინარე ადვოკატ პ. ა.-ს სურდა მისი დაშინება.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი პ. ა. მის თანხლებ პირებს ეუბნებოდა, რომ ი. შ.-ფ.-ის ადვოკატი ნ. გ. ვერ აჯობებდა მას, ვინაიდან იგი გამოიყენებდა თავის ნაცნობობას და თუ საჭირო იქნებოდა კოლეგებსაც ჩართავდა საქმეში, რის საფუძველზეც დააჭერინებდა ი. შ.-ფ.-ს და მის ადვოკატს.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, პ. ა. აქეზებდა ნ. კ.-ის ახლობლებს შ.-ების ოჯახის მიმართ, რომ ნ. კ.-ს უკან არ უნდა დაეხია და ყველაფერი დამოკიდებული იყო მათ ქცევაზე. კერძოდ, ამ ეტაპზე საჭირო იყო უშუალოდ მოქმედებაზე გადასვლა. საჩივრის ავტორის განცხდებით ადვოკატი მოუწოდებდა მათ, რომ არ დაეთმოთ მათი ქონება და საჭიროების შემთხვევაში შ.-ების ქონებიდან გამოგდების მიზნით გამოეყენებინათ ფიზიკური ძალაც. საჩივრის ავტორის განცხადებით, როგორც ადვოკატმა თქვა აღნიშნულ უკანონო ქმედებასთან დაკავშირებით, მცხეთის პოლიცია და პროკურატურა არ დაიცავდა შ.-ების ოჯახს.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ადვოკატ პ. ა.-ის უკანონო რეკომენდაციით, მისმა მარწმუნებელმა ნ. კ.-მა ფორმალურად გააფორმა ახალი ნასყიდობის ხელშეკრულება გ. ნ.-ზე. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ქმედებით, მათ სურდათ ახალი მყიდველის სახელზე გაფორმებულიყო სადაო უძრავი ქონება, რის საფუძველზეც ახალი მყიდველი იქნებოდა კეთილსინდისიერი შემძენი, ხოლო ამის შედეგად ი. შ.-ფ.-ის დავა სასამართლოში იქნებოდა წარუმატებელი.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ პ. ა.-ს ი. შ.-ფ.-ის საჩივარი ჩაბარდა 2018 წლის 27 თებერვალს, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მას ეთიკის კომისიისათვის ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი პ. ა. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი N..../, სპეციალიზაცია – საერთო სამართალი. ადვოკატის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან."

3.2 ი. შ.-ფ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 26 თებერვალს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წლის ბოლოს. ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ პ. ა.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი პ. ა., უკანონო და არაკეთილსინდისიერი ქმედებებით ახორციელებდა მისი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესის დაცვას, რაც გამოიხატა შემდეგში:. ადვოკატ პ. ა.-ს ჰქონდა მოლაპარაკება მცხეთის რაიონული პოლიციის უფროსთან, რომელიც დაპირდა, რომ რაიონულ პროკუროს დააწყებინებდა გამოძიებას ი. შ.-ფ.-ის მიმართ; ადვოკატი პ. ა. უშუალოდ აპირებდა ამ საქმესთან დაკავშირებით რაიონული პროკურორთან დალაპარაკებას; ადვოკატი პ. ა. უკანონო ქმედებებით ყველაფერს აკეთებდა თავის ნაცნობებისა და კოლეგების გამოყენებით სადავო საქმეში, ი. შ.-ფ.-ისა და მისი ადვოკატის ნ. გ.-ის დასაჭერად; ადვოკატი პ. ა. აქეზებდა ნ. კ.-ის ახლობლებს შ.-ების ოჯახის მიმართ, კერძოდ, ადვოკატი პ. ა. მოუწოდებდა მათ უკან არ დაეხიათ და საჭიროების შემთხვევაში გამოეყენებინათ ფიზიკური ძალაც სადაო ქონებიდან შ.-ების ოჯახის გამოგდების მიზნით; ადვოკატმა პ. ა.-მ მოუწოდა თავის დაცვის ქვეშ მყოფს გაეფორმებინათ ნასყიდობის ხელშეკრულება, რის შედეგად ახალი მესაკუთრე იქნებოდა კეთილსინდისიერი შემძენი და ამის გამო ი. შ.-ფ.-ის დავა სასამართლოში გახდებოდა წარუმატებელი.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ პ. ა.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად: ,,საადვოკატო საქმიანობის პრინციპია - კანონიერება“.

5.2.2 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“.

5.3 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატის სამოქმედო არეალი შეზღუდულია კანონის ფარგლებით. ადვოკატმა ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, მისი ინტერესები ნებისმიერი პირის ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენოს და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა.

5.4 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე N010/10 დაადგინა, რომ „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტი და წარმოადგინოს მისი კანონიერი ინტერესები მხოლოდ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატმა ყველა ღონე უნდა იხმაროს კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლოში, მაგრამ ეს მოქმედებები სასამართლოში დადგენილი ქცევის წესებით და პროცესუალური კანონმდებლობით არის განსაზღვრული, რისი დაცვის ვალდებულება ასევე ეკისრება ადვოკატს.“

5.5 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატს არა თუ უფლება აქვს, არამედ ვალდებულია გამოიყენოს ყველა ის საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. ამასთან, ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს ორიენტირებული კლიენტზე და მიზნად ისახავდეს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

5.6 განსახილველ შემთხვევაში ადვოკატი პ. ა. ახორციელებდა სადაო საქმეში მოპასუხის ნ. კ.-ის წარმომადგენლობას. მის მარწმუნებელს ნ. კ.-ს ადვოკატის მიერ განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებით პრეტენზია არ აქვს. ადვოკატის პროფესიის არსი და ბუნება წარმოადგენს კლიენტის ინტერესების დაცვას და ადვოკატი ყოველთვის ატარებს პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის საპირისპირო ინტერესს. შესაძლებელია, მეორე მხარეს არ მოსწონდეს ის მეთოდი, რომლითაც ადვოკატი თავის კლიენტს იცავს, მაგრამ დაცვის სტრატეგიის არჩევა ადვოკატისა და მისი კლიენტის შეთანხმებით ხორციელდება.

5.7 განსახილველ შემთხვევაში ადვოკატის პ. ა.-ის მიზანი იყო მარწმუნებლის - ნ. კ.-ის ინტერესების დაცვა. კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი თავად აფასებს რომელი კანონიერი მოქმედებით უნდა განახორციელოს თავისი კლიენტის დაცვა. განსახილველ შემთხვევაში საჩივრის ავტორის ი. შ.-ფ.ს პრეტენზიები ეხება ადვოკატის მიერ თავისი კლიენტისათვის მიცემულ საადვოკატო რჩევებს და ადვოკატ პ. ა.-ის სტრატეგიას აღნიშნულ საქმეში. კოლეგიამ სრულყოფილად შეაფასა

საჩივრის ავტორის თითოეული პრეტენზია და განმარტავს, რომ ამ პრეტენზიებიდან გამომდინარე ადვოკატ პ. ა.-ის მიერ არ განხორციელებულა უკანონო ქმედება. მისი რჩევები მიზნად ისახავდა კლიენტის ინტერესის დაცვას და ადვოკატის სტრატეგიის შეფასება ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის.

5.8 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ პ. ა.-ის ქმედებაში არ დასტურდება "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის "ა" ქვეპუნქტისა და მე–6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეთიკური გადაცდომის ნიშნები, შესაბამისად, ადვოკატ პ. ა.-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე, 33-ე მუხლებით; მე-3 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტით; მე–6 მუხლის პირველი პუნქტით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №019/18 ადვოკატ პ. ა.-ის მიმართ /სიითი №..../ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/